საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 142

2018 წ. „03“ 11

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 3 ნოემბრის №48 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ლევან გორდეზიანი